ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1328484

ნომერი: AR1218281

თარიღი : 08.05.2014

გაცემის თარიღი : 13.06.2014

გაცნობის თარიღი : 14.06.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 16 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახა ჭოველიძე პ/ნ 01010002946
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ I კვ. კორ. 16 ბ. 51

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო აბრისა და კონდიციონერების გარე აგრეგატების მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი–ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზ. #16-ში, შპს "ავრორა–95"–ის საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადზე სარეკლამო აბრისა და კონდიციონერების გარე აგრეგატების მოწყობას. განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ "თბილისის არქიტექტურის სამსახური".

"მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად არქიტექტურის სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ფართის კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები #01.14.11.009.001.01.522; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, მესაკუთრის თანხმობა, შპს "ალტა"–ს მინდობილობა, ქ. თბილისის მერიის სსიპ "ქონების მართვის სააგენტო"–ს 12.06.2014 წ.№ QN1225122 გადაწყვეტილება) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი–ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზ. #16-ში, შპს "ავრორა–95"–ის საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადზე სარეკლამო აბრისა და კონდიციონერების გარე აგრეგატების მოწყობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ:
– კონდიციონერების გარე აგრეგატების განთავსება განხორციელდეს ქ. თბილისის მერიის სსიპ "ქონების მართვის სააგენტო"–ს მიერ იჯარით გაცემულ ფართში;
– კონდიციონერების გარე აგრეგატების შემდგომი ფუნქციონირებისას დაცული უნდა იყოს შესაბამისი ნორმატივები და უსაფრთხოების ნორმები.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.